

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-01/60

ქ. თბილისი

11 სექტემბერი 2020

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით გამოცემულ რექტორის 2020 წლის 07 სექტემბრის N01-01/57 ბრძანებაში ცვლილების განხორციელების შესახებ

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 11 სექტემბრის N820260 ბრძანების „2020-2021 სასწავლო წელს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 04 სექტემბრის N778305 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის დებულების მე-10 მუხლის 10.6 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე, 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით გამოცემულ რექტორის 2020 წლის 07 სექტემბრის N01-01/57 ბრძანებაში ცვლილების განხორციელების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით გამოცემულ რექტორის 2020 წლის 07 სექტემბრის N01-01/57 ბრძანების პირველ პუნქტს დაემატოს 1.1. პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1.1. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 11 სექტემბრის N820260 ბრძანების „2020-2021 სასწავლო წელს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 04 სექტემბრის N778305 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე პირველი პრიმა პუნქტის შესაბამისად შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ საგანმანათლებლო საქმიანობის თბილისის ტერიტორიაზე განხორციელების გამო სასწავლო პროცესი 2020 წლის პირველ ოქტომბრამდე წარმართოს დისტანციურ რეჟიმში, ხოლო პირველი ოქტომბრიდან სასწავლო პროცესი გაგრძელდეს ამავე ბრძანების პირველი პუნქტის შესაბამისად არადისტანციურ რეჟიმში.

2. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილებით „იზოლაციისა და კარანტინის წესების შესახებ“ მე- 3 მუხლით შესაბამისად შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი განხორციელდეს

დისტანციური სწავლების/კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმის გამოყენებით 2020 წლის 06 აპრილს რექტორის N01-01/23 ბრძანებით დამტკიცებული „შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე დისტანციურ რეჟიმში ელექტრონული ფორმით სწავლების განხორციელებისა და ადმინისტრირების წესი“-ს შესაბამისად.

2. სასწავლო პროცესის განხორციელების მიზნით აუცილებელია „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების შესაბამისად დამტკიცებული დანართი 38-ით „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის“ განსაზღვრული რეკომენდაციების გათვალისწინებით.

3. სასწავლო პროცესის ონლაინ რეჟიმში მიმდინარეობის მონიტორინგის მიზნით შეიქმნას ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა. სოფიკო თევდორაძე - ჯგუფის თავმჯდომარე

ბ. მაგდა იაშვილი - წევრი

გ. ქეთევან დევდარიანი - წევრი

დ. შოთა კაპანაძე - წევრი

4. სასწავლო პროცესის ონლაინ რეჟიმში მიმდინარეობის მონიტორინგის ჯგუფს დაევალოს ონლაინ ლექცია/სემინარების მიმდინარეობის მონიტორინგი.

5. სასწავლო პროცესის ონლაინ რეჟიმში მიმდინარეობის მონიტორინგის ჯგუფი ვალდებულია ყოველი კვირის ბოლოს უნივერსიტეტის რექტორს და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს წარუდგინოს მონიტორინგის შედეგები.

6. კანცელარიამ უზრუნველყოს ამ ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის.

7. ფაკულტეტებმა უზრუნველყონ წინამდებარე ბრძანების შესახებ სტუდენტებისა და პერსონალის ინფორმირება.

8. უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ბრძანების განთავსება დაევალოს ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელ პირს.

9. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის

რექტორი, პროფესორი

გიორგი მათიაშვილი